ანალიტიკური წერა

B ტიპის ტესტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ერთ-ერთი უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გადაწყვიტა საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურისა და სტუდენტთა სასწავლო გრაფიკის რეორგანიზაცია.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დარბაზი, რომელიც სტუდენტთა თავშეყრისა და კომუნიკაციის ადგილს წარმოადგენდა, დაიყო მცირე სექტორებად, რაც, ადმინისტრაციის აზრით, სტუდენტებს წყნარ გარემოში მუშაობის შესაძლებლობას მისცემდა. გარდა ამისა, შემცირდა სტუდენტების ლექტორთან მუშაობის – სემინარების – საათები, რათა სტუდენტებს მეტი დრო დარჩენოდათ დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

ერთი სემესტრის შემდეგ ადმინისტრაციამ შეაფასა ჩატარებული ღონისძიებების შედეგები. აღმოჩნდა, რომ ჩატარებული ცვლილებების შედეგად უნივერსიტეტში სტუდენტთა აკადემიური მოსწრება გაუარესდა. ადმინისტრაციამ დაასკვნა, რომ მის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა არ გაამართლა.

კრიტიკულად შეაფასეთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დასკვნა; ახსენით, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომელთა გამო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მოლოდინი არ გამართლდა.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

წიგნების მაღაზიაში კაფეს გახსნა, ასევე, სუვენირების გაყიდვა არ არის მიზანშეწონილი; ის არღვევს აკადემიურ ატმოსფეროს, რომელიც ამგვარი ადგილისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი და ეწინააღმდეგება კონცეფციას წიგნების მაღაზიის საგანმანათლებლო დანიშნულების შესახებ.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.